

## ახალი მომხმარებლის გამანაწილებელ ქსელზე მიერთება

თუ თქვენ ხართ ახალი მომხმარებელი და გსურთ მიიღოთ და მოიხმაროთ ელექტროენერგია, უნდა მოახდინოთ გამანაწილებელ ქსელზე მიერთება. მიერთება ფასიანია და რეგულირდება განსაზღვრული წესით.

- პირველ რიგში, თქვენ უნდა აირჩიოთ მომსახურების პაკეტი.

მაბვის საფეხური, კვ	სიმძლავრე, კვტ	ახალი მომხმარებლის გამანაწილებელ ქსელზე მიერთების უზრუნველყოფის პერიოდი-ვადა (კალენდარული დღე)	ახალი მომხმარებლის მიერთების საფასური დღგ-ის ჩათვლით, ლარი
0.220	1-10	35	400
0.380	1-10	35	1200
	11-30	40	4700
	31-50	40	7000
	51-80	45	10500
	81-100	45	12000
	101-125	45	14000
	126-200	45	21500
	201-320	60	33000
	321-500	60	50500
	501-800	90	80000
801-1000	90	100000	
6.-10	1-500	60	48500
	501-1000	90	94000
	1001-1500	90	137000
	1501-2000	90	177000
	2001-3000	90	257500
	3001-5000	90	416000

- შესაბამის გამანაწილებელ კომპანიაში ავსებთ განაცხადს.
- გამანაწილებელი ქსელის ახალ მომხმარებლად ითვლება მხოლოდ ის ობიექტი, რომელიც არასოდეს არ ყოფილა მიერთებულ გამანაწილებელ ქსელზე და საერთოდ არ მიეწოდებოდა ელექტროენერგია.
- 0,4 კვ. (380/220ვ) და 6/10 კვ. მაბვის ახალი მომხმარებლის გამანაწილებელ ქსელზე მიერთების საფასური დგინდება მისაერთებელ სიმძლავრეზე, შეთავაზებული პაკეტების მიხედვით.

- განმცხადებელი ვალდებულია განაცხადის წარდგენამდე გადაიხადოს განაცხადში მითითებული გამანაწილებელ ქსელზე მიერთების საფასურის 50%, ხოლო დარჩენილი თანხა გადაიხადოს ელექტროენერგიით მომარაგების დაწყების თარიღიდან:
  - ა) საყოფაცხოვრებო მომხმარებელმა – 20 დღის განმავლობაში;
  - ბ) არასაყოფაცხოვრებო მომხმარებელმა – 10 დღის განმავლობაში.
- კომპანიის მიერ სამუშაოების დასრულების ვადის გადაცდენის შემთხვევაში განმცხადებელს ეხსნება გადასახადის 50%-ის გადახდის ვალდებულება. კომპანიის მხრიდან განმეორებით ვადის გადაცდენის შემთხვევაში კომპანიამ განმცხადებელს უნდა დაუბრუნოს გადახდილი თანხა 10 დღის განმავლობაში.
- გამანაწილებელი კომპანია ვალდებულია განაცხადის და გადახდის ქვითრის მიღებისთანავე დაიწყოს მისი შესწავლა და 5 დღის ვადაში ამცნოს განმცხადებელს, დაკმაყოფილება თუ არა მისი მოთხოვნა. უარის მიღების შემთხვევაში განმცხადებელს უფლება აქვს განმეორებით მიმართოს კომპანიას მოთხოვნით.
- გამანაწილებელი კომპანია უზრუნველყოფს ახალი მომხმარებლის კუთვნილ ტერიტორიამდე მიერთებისთვის საჭირო ყველა სამუშაოსა და ხარჯს, მათ შორის, გამანაწილებელი ქსელის გაყვანას, საშუალებების შეძენას, მიერთების საპროექტო-სამშენებლო სამუშაოებს, მის შესრულებასთან დაკავშირებულ თანხმობის ან ნებართვის მოპოვებას და ყველა სახის საჭირო მოქმედებას და სამუშაოს. ამ პროცესებში განმცხადებელი მონაწილეობას არ იღებს.
- განმცხადებელს უფლება აქვს აირჩიოს:
  - აღრიცხვის კვანძის ძაბვის საფეხური, რომელზეც უნდა მოეწყოს აღრიცხვის კვანძი;
  - მისაერთებელი სიმძლავრე შესაბამის ძაბვის საფეხურზე, სადაც უნდა მოეწყოს აღრიცხვის კვანძი.
- ობიექტის ქსელზე მიერთებისა და ამ მომხმარებლის აბონენტად აყვანის შემდეგ გამანაწილებელი კომპანია ვალდებულია გაუწიოს მას მომსახურება და მის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის აღრიცხვა და ანგარიშსწორება აწარმოოს ინდივიდუალურად.
- გამანაწილებელ ქსელზე მიერთებული ახალ მომხმარებელი ავტომატურად ხდება აბონენტი.